სპეციალური საჭიროების მქონე (სსმ) ბავშვების და-ძმების აკადემიური მიღწევა და პრობლემური ქცევა

რუსუდანი დიაკონიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნის მინიჭების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია (განათლების ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025-2026 წელი

სარჩევი

აბსტრაქტი 1

Abstract 2

შესავალი 5

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 8

სსმ და-ძმის პრობლემურ ქცევასა და ტიპური განვითარების მქონე დედმამიშვილის პრობლემური ქცევის გამოვლენის ხარისხს შორის კავშირი 10

სსმ ბავშვების და-ძმებსა და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების და-ძმების პრობლემური ქცევის კოეფიციენტის განსხვავება 13

კავშირი სსმ და-ძმის პრობლემურ ქცევასა და ტიპური განვითარების მქონე დედმამიშვილის აკადემიური მიღწევის დონეს შორის 14

სსმ ბავშვების და-ძმებისა და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების და-ძმების აკადემიური მიღწევის დონეს შორის სხვაობა 16

კავშირი პრობლემური ქცევის ხარისხსა და აკადემიური მიღწევის დონეს შორის 20

კვლევის მეთოდი 22

შედეგები 25

დასკვნა და რეკომენდაციები 30

გამოყენებული ლიტერატურა 33

დანართი 36

1.1.1.1.1.1.1.1.1 აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანი იყო სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების (სსმ) პრობლემური ქცევის კავშირის შესწავლა მათი ტიპური განვითარების მქონე უფროსი დედმამიშვილების ქცევით და აკადემიურ მონაცემებთან. ასევე, აღნიშნული მონაცემების შედარება საკონტროლო ჯგუფთან. კვლევაში სულ მონაწილეობას იღებდა 70 ოჯახი. აქედან ექსპერიმენტულ ჯგუფში 35 ოჯახი - უმცროსი სსმ ბავშვით, რომელიც ჩართულია ადრეული განვითარების სახელმწიფო პროგრამაში, და უფროსი ტიპური განვითარების დედმამიშვილით. ხოლო საკონტროლო ჯგუფი - 35 ოჯახი ორი ტიპურად განვითარებული დედმამიშვილით. ბავშვების ასაკი მერყეობდა 4-დან 12 წლამდე. მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა: დემოგრაფიული კითხვარი, 4-18 წლის ბავშვების ქცევის შესაფასებელი კითხვარი (CBCL checklist - აკადემიური ნაწილი) და ბავშვთა ქცევის კითხვარი - Eyberg - child behavior inventor (ECBI). ქცევის კითხვარი შეავსეს მშობლებმა, ხოლო აკადემიური ნაწილი მასწავლებლების მიერ იქნა შევსებული. შედეგები დამუშავდა SPSS-ში, პირსონის კორელაციის (Correlations) და დაწყვილებული T ტესტის გამოყენებით (Paired sample test). შედეგების დამუშავების შედეგად, გამოვლინდა ძლიერი დადებითი კორელაცია სსმ ბავშვებისა და მათი უფროსი დედმამიშვილების პრობლემურ ქცევას შორის ($r=.838$, $p<.001$). ამასთან სსმ ბავშვებში ქცევის დარღვევის მაღალი რისკი მნიშვნელოვნად უფრო ხშირად დაფიქსირდა, ვიდრე მათ დედმამიშვილებში. სსმ ბავშვების პრობლემურ ქცევასა და მათი უფროსი დედმამიშვილების აკადემიურ მიღწევას შორის კავშირი არ გამოვლინდა ($r=-.121$, $p=.490$). ასევე, არ დადასტურდა განსხვავება სსმ ბავშვების დედმამიშვილებისა და საკონტროლო ჯფუფის უფროსი

დედმამიშვილების აკადემიურ მოსწრებას შორის (p=.192). ტიპური განვითარების მქონე უფროს დედმამიშვილებში გამოვლინდა ძლიერი უარყოფითი კორელაცია პრობლემური ქცევის ქულასა და აკადემიურ მიღწევას შორის (r=-.610, p<.001). თუმცა, საყურადღებოა, რომ ეს კავშირი სსმ ბავშვების დედმამიშვილებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა.

დასკვნის სახით, მოცემული კვლევა ადასტურებს, რომ სსმ ბავშვების პრობლემური ქცევა მჭიდროდ უკავშირდება მათი ტიპური განვითარების მქონე დედმამიშვილების ქცევით სირთულეებს, თუმცა აღნიშნული ფაქტორი არ აისახება მათ აკადემიურ მიღწევებზე, რაც შესაძლოა მიუთითებდეს დამატებითი დამცავი ან კომპენსატური მექანიზმების არსებობაზე სსმ ბავშვების ოჯახში.

Abstract

This study explored how problem behaviors in children with special needs (SN) are related to both the behavioral difficulties and academic performance of their older, typically developing siblings. The study also compared these outcomes with control group. A total of 70 families participated. The experimental group included 35 families with a younger child with SN who was enrolled in the state Early Intervention Program and an older typically developing sibling. The control group consisted of 35 families with two typically developing children. The children ranged in age from 4 to 12 years.

Data were collected using a demographic questionnaire, the academic section of the Child Behavior Checklist for ages 4–18 (CBCL), and the Eyberg Child Behavior Inventory (ECBI). Parents completed the behavioral questionnaires, while teachers provided information on the children's academic performance. Data were analyzed using SPSS, with Pearson correlation analyses and paired-samples t-tests.

The results showed a strong positive relationship between problem behaviors in children with SN and those of their older siblings. Children with SN were also much more likely to show a high risk of behavioral difficulties than their siblings. In contrast, no meaningful link was found between problem behaviors in children with SN and their siblings' academic achievement. Academic performance also did not differ significantly between siblings of children with SN and siblings in the control group. Among typically developing older siblings, higher levels of problem behavior were clearly associated with

lower academic achievement; however, this pattern was not observed among siblings of children with SN.

Overall, the findings suggest that while problem behaviors in children with SN are closely connected to behavioral difficulties in their siblings, they do not appear to negatively affect siblings' academic performance. This may point to the presence of protective or compensatory processes within families of children with SN.